№1-8 = 8 ρ
6

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

## ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1924 წლის თებერვლის 25.

№ 1.
განყოფილება პირველი

გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

**შინაარსი:**


მუხ. 1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის მოსპობის შესახებ.

„ 2. საფინანსო კონტროლის დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება საფინანსო კონტროლის შესახებ.

„ 3. ოცდახუთ მილიონიანი ამიერკავკასიის ფულიის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ.

„ 4. საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 5. ჯარში გასაწვევ პირთა შორის წერთა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

„ 6. სახელმწიფო ფულადი გადასახადისა და გამოსაღების პატიებისა, ვადის გადადებისა და განაწილებისა და ხაზინაში არამართლიერად შესული თანხების დაბრუნების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 7. შინა-წარმოების აბრეშუმის ქსოვილის აქციზის შესახებ.

„ 8. საუცხოეთო საცხოვრებელი მოწმობის გაცემის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 9. ჩერვონეცის კურსის შესახებ გარიგებათა ანგარიშის გასწორებისათვის.

„ 10. სასინჯო ზედამხედველობის შესახებ.

„ 11. დებულება სასინჯო ზედამხედველობის შესახებ საიუველირო მრეწველობისა და კეთილშობილ მეტალთა ნაკეთობის ვაჭრობისათვის

„ 12. საკონტროლო ღონისძიებათა შესახებ რმ დადგენილებათა განხორციელებისათვის. რაც შინა-ვაჭრობის კომისიის მიერ გამოცემულია მასსიური მოხმარების საგნების ფასის შემცირების თაობაზე.

„ 13. დებულება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

„ 14. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის განაკვეთის ჩერვონეცით გამოანგარიშების შესახებ.

„ 15. საუცხოეთო ვიზისა და პასპორტის მიცემის თაობაზე გამოცემული დეკრეტის შეცვლის შესახებ.

„ 16. მუშათა და გლეხთა პირველი საფეხურის კოოპერატივებისა და მათ მოსამსახურეთა 6% სესხის ობლიგაციების შეძენისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ 17. დებულება ბაქოს ბაზრობის შესახებ.

„ 18 ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებზე და საწარმოებზე სოციალური დაზღვევის გადასახადის სატარიფო შეღავათის გავრცელების შესახებ.

# დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. დეკემბრის 31.

## 1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის მოსპობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1924 წლის იანვრის 1-დან მოსპობილ იქნეს მიღება ნატურად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა.

2. ამიარკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სასურსათო ორგანოების საგადასახადო აპარატი—საჭირო ქონებითურთ—გადაეცეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

3. წინა მუხ. თანახმად სასურსათო ორგანოების საგადასახადო აპარატის გადაცემის წესს და მასთან დაკავშირებულ ყოველ საკითხს გადასწყვეტენ ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ურთიერთთან შეთანხმებით.

4. ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ურთიერთთან შეთანხმებით, გამოსცემენ საჭირო დადგენილებებს ამა დეკრეტის ფანსავითარებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა„-ს 1924 წ. იანვრის 1-ლი თარიღის №-ში 466.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. დეკემბრის 24.

## 2. საფინანსო კონტროლის დებულების დამტკიცების შესახებ.

რადგანაც მუშათა და გლეხთა იმსპექციის სახალხო კომისარიატი განთავისუფლებულ იქნა მისი კუთვნილი სხვადასხვა ფუნქციისაგან, რაც ჩამოთვლი-

ლია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის დეკემბრის 4-ს თარიღით გამოცემულ დადგენილებაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის დეკემბრის 7-ს თარიღის 282 №-ში—რუსულ ენაზე, გაზ. „მარტაკოჩ"-ის 1923 წლის დეკემბრის 8-ს თარიღის 239 №-ში—სომხურ ენაზე და გაზ. „კომუნისტი"-ს 1923 წლის დეკემბრის 8-ს თარიღის 283 №-ში—ქართულ ენაზე,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება საფინანსო კონტროლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 1-ლი თარიღის 466 №-ში.

---

# დებულება

## საფინანსო კონტროლის შესახებ.

1. საფინანსო კონტროლი: ა) მოახდენს შემდგომ დოკუმენტალურ შემოწმებას ფედერატიულ, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტთა შემოსავალ-გასავლისას და აგრეთვე შეამოწმებს ბრუნვას სხვა ფულადი და მატერიალური საფასურისას, რაც არის ანგარიშვალდებულ კასებში და დაწესებულებებში;

ბ) მოახდენს ფაქტიურ შემოწმებას ფულადი და მატერიალური საფასურისა, ნაგებობისა, შენობისა და სხვა ოპერაციებისას—ამიერკავკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ ცალკე ინსტრუქციათა საფუძველზე.

გ) თვალყურს ადევნებს კრედიტების გაასიგნვისა და მოძრაობის სისწორეს კასებისა და სააღრიცხო დანაწილებათა მიხედვით;

დ) შეადგენს ანგარიშს შემოსავალ-გასავლის საერთო-სახელმწიფო ნუსხის აღსრულების შესახებ და აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ვ) შეიმუშავებს და, მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, წარუდგენს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს საერთო წესებს იმ თანხების მიღებისა და დახარჯვისას, რაც ბრუნავს ანგარიშვალდებულ კასებში და დაწესებულებებში და აგრეთვე წესებსა და ფორმებს ანგარიშწარმოებისას და ანგარიშგებისას, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის სფეროში—განმანაწილებელი სამმართველოებისათვის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

2. უკეთუ აღმოჩნდება რაიმე არამართლიერობა და ბოროტმოქმედება,— საფინანსო კონტროლი იხმარს საჭირო ღონისძიებას დარღვევის თავიდან ასაცილებლად და ხაზინის ზარალის ასანაზღაურებლად; ამასთანავე სათანადო შემთხვევაში საფინანსო კონტროლი კანონიერ პასუხისგებაში მისცემს დამნაშავეს.

3. საფინანსო კონტროლის შედგენილობაში შედიან: ა) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველო;

ბ) საფინანსო-საკონტროლო განყოფილებანი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებელთა სამმართველოებისა—საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკებში.

4. საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს მოქმედების უმაღლესი ხელმძღვანელობა ეკუთვნის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

5. წესი თანამშრომელთა დანიშვნისა საფინანსო-საკონტროლო ორგანოების ყველა თანამდებობაზე განისაზღვრება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ საერთო საფუძველზე.

6. ფარგლები და წესი საფინანსო კონტროლის მეთვალყურეობისა მისდამი ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა განმკარგულებელი და აღმასრულებელი მოქმედების კანონიერებისა და სისწორისათვის და ფულადი და მატერიალური საფასურის დაცვისათვის და აგრეთვე გადასახდელის დადების წესი—განისაზღვრება ცალკე დებულებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 1-ლი თარიღის 466 №-ში.

---

# დადგენილება № 114 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

**3. ოცდახუთ მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ.**

რადგანაც სავაჭრო-სამრეწველო აღებ-მიცემობა საჭიროებს ფულის ნიშნის უფრო დიდ კუპიურას, გამოშვებულ იქნეს სახმარებლად ოცდახუთ მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშანი იმ საფუძველზე, რაც დაწესებულია ამიერკავკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ 1923 წ. იანვრის 10-ს თარიღით გამოცემული დეკრეტით.

ამიერკავკასიის ფულის ნიშნის აღნიშნული კუპიურა გამოშვებულ იქნეს 1924 წ. ახალი სახით ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელით და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის ხელმოწერით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 1-ს თარიღის 466 №-ში.

---

# დადგენილება № 115 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის იანვრის 2.

**4. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის თაობაზე 1923 წლის ივნისის 21-ს თარიღითა და 57 №-ით გამოცემული დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული № 9, მუხ. 129) მე—10 მუხლის შეცვლის შესახებ.**

39

საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შესახებ გამოცემული დადგენილების მე—10 მუხლის შესაცვლელად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 57 №-ის დადგენილების მე—10 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად: „საჯარო ანგარიშგებისათვის ვალდებული საწარმოს საოპერაციო პერიოდი დასრულდება ყოველწლიურად სექტებრის 30-ს.

ის დაწესებულება, რომელიც დაიწყებს მოქმედებას საოპერაციო წლის პირველ ნახევარში, არასრულ წელიწადს ჩასთვლის სრულ წელიწადად, ხოლო იმ დაწესებულებას, რომელიც დაიწყებს მოქმედებას საოპერაციო წლის მეორე ნახევარში, შეუძლიან წლის ბოლო შეუერთოს მომავალ საოპერაციო წელიწადს".

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 3-ს თარიღის 467 №-ში.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წლის დეკემბრის 24.

## 5. ჯარში გასაწვევ პირთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სავალდებულოდ იქნეს ცნობილი ჯარში გასაწვევ წერა-კითხვის უცოდინარ პირთათვის წერა-კითხვის სწავლება მშობლიურ ენაზე იმ სამხედრო მომზადების გავლის დროს, რაც სწარმოებს ჯარში გაწვევამდე.

**შენიშვნა.** 1902 წ. დაბადებულთ და აგრეთვე 1901 წ. დაბადებულთ, რომელნიც ჯარში გაწვეულნი არ არიან, წერა-კითხვა უნდა შეისწავლონ არა უგვიანეს 1924 წ. აგვისტოს 1-სა.

2. ჯარში გასაწვევთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხარჯი, რაც საჭირო იქნება სასკოლო სადგომების დასაჭერად და ამ სადგომების გასათბობად, გაწეულ იქნეს ადგილობრივ საშუალებათაგან. ხოლო ყველა ხარჯი, რაც საჭირო იქნება სადგომების მოწყობა-განათებისათვის, მასწავლებელთა ჯამაგირებისათვის, საკანცელიარიო ნივთებისათვის, სახელმძღვანელოებისათვის და აგრეთვე სხვა სამეურნეო ხარჯი, გაღებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამიერკავკასიის სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

3. დაევალოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 5-ს თარიღის 469 №-ში.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის დეკემბრის 31.

**6. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატებისათვის და ამავე დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლის შეცვლისათვის.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო ფულადი გადასახადისა და გამოსაღების პატიებისა, ვადის გადადებისა და განაწილებისა და ხაზინაში არამართლიერად შესული თანხების დაბრუნების შესახებ 1923 წლის აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული № 19, მუხ. 180) შესაცველად და დასამატებლად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ხსენებული დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლში აღნიშნული თანხები: „ორას მილიონ მანეთზე არა უმეტეს“ და „ას ორმოცდაათ მილიონ მანეთზე არა უმეტეს ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით“, გადატანილ იქნეს ჩერვონეცის ანგარიშზე და შეიცვალოს შემდეგნაირად: პირველი თანხა — „ორმოცდაათ ჩერვონეცის მანათზე არა უმეტეს“ და მეორე თანხა — „ორმოც ჩერვონეცის მანათზე არა უმეტეს“.

2. ხსენებულ დადგენილებას დაემატოს მე-7 მუხლი შემდეგი შინარსისა:

„ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ცალკე რესპუბლიკებში უფლება ეძლევათ, გადახდევინების „ღონისძიებათა მიუღებლად, მოხსნან ხოლმე ანგარიშიდან დარჩენილი მცირე თანხები პირდაპირ გადასახადთა და გამოსაღებთა ნარჩენისა; მოხსნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ ჩერვონეცის კაპიკს თვითეული სანარჩენო მუხლისათვის“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის იანვრის 5-ს თარიღის 469 №-ში.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის დეკემბრის 24.

## 7. შინა-წარმოების აბრეშუმის ქსოვილის აქციზის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საფეიქრო მრეწველობის ნაწარმოებთათვის მტკიცე განაკვეთის აქციზის შემოღების შესახებ 1923 წლის სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად—ამიერკავკასიის ტენცრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 27-ს დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული სააქციზო დაბეგვრა აბრეშუმის ნართისა და ყაჭეულისა.

2. აქციზით დაიბეგვრება საფაბრიკო საწარმოს მიერ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამზადებული (მუხ. 4) აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის (აბრეშუმნარევი) ქსოვილი.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ აქციზ-დასადებ ქსოვილად ჩაითვლება ყოველი საფეიქრო, საქსოვი და წნული ნაწარმოები, რომელიც შეიცავს აბრეშუმს, როგორც ნატურალურს, ისე ხელოვნურს.

4. აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის ქსოვილის დამმზადებული საწარმო ჩაითვლება საფაბრიკო საწარმოდ: ა) უკეთუ საწარმოში არის ორზე მეტი მომქმედი საფეიქრო, საქსოვი, საქარგავი, დასაჩითავი და სხვა დაზგა—ქსოვილის დამზადებისათვის ან ბ) უკეთუ საწარმოში წარმოების იარაღთა ასამოძრავებლად იხმარება მექანიკური ან ცხოველთა ძალა.

5. აბრეშუმის ან ნახევარაბრეშუმის ქსოვილის დამმზადებული ყოველი საფაბრიკო საწარმო გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში არაპირდაპირ გადასახადთა ადგილობრივ ქვე-განყოფილებაში.

6. მე-2 მუხლში აღნიშნულ ქსოვილთა აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს წონით, იმისდამიხედვით, თუ რა ქსოვილია და რა ღირსებისა—ამა დადგენილების დანართში მოხსენებული განაკვეთის საფუძველზე.

7. ქსოვილის აქციზის გასტუმრება მოხდება მისი საფაბრიკო საწარმოდან გამოშვების დროს.

8. აბრეშუმის ნართისა და ყაჭეულისათვის გადახდილი აქციზი, რამდენადაც ეს ნართი და ყაჭეული გადადის გადასამუშავებლად აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის ქსოვილის დამმზადებულ საფაბრიკო საწარმოში,—ჩაითვლება აღნიშნული ქსოვილისათვის მომავალში გადასახდელი აქციზის ანგარიშში, იმ

+ 41

პირობით-კი, უკეთუ წარდგინილ იქნება სათანადო დასამტკიცებელი საბუთი, რომ აქციზი ზემოხსენებული ნართისა და ყაჭეულისა გასტუმრებულ იყო.

9. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

## დ ა ნ ა რ თ ი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა შინა-წარმოების აბრეშუმის ქსოვილის აქციზის შესახებ.

## ტ ა რ ი ფ ი.

### შინა-წარმოების აბრეშუმის ქსოვილის სააქციზო განაკვეთისა.

| სახელწოდება და ღირსება ქსოვილისა. | აქციზი ჩერვ: ანგარიშით | | | |
|---|---|---|---|---|
| | გირვანქა. | | კილოგრამზე. | |
| | მან. | კ. | მან. | კ. |
| 1. აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის ნაქსოვი მატერია, ცხვირსახოცი, შარფი, ლენტი და სხვ. ნაკეთობა, გარდა ამა ტარიფის სხვა მუხლებში ცალკე აღნიშნულისა: | | | | |
| 1) ყოველნაირი, გარდა ამა მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტში აღნიშნულსა: | | | | |
| ა) ბამბის ძირითადი ან საუჯრედო ძაფით . . . . . | 1 | 30 | 3 | 17 |
| ბ) წმინდა აბრეშუმისა ან ისეთი, რომელიც შეიცავს აბრეშუმს ძირითად ან საუჯრედო ძაფად . . . . . | 4 | 65 | 11 | 35 |
| 2) ხავერდი, პლიუში და ხავერდის ლენტი: | | | | |
| ა) ბამბის ძირითადი ან საუჯრედო ძაფით (აბრეშუმისა მხოლოდ ხაო) . . . . . | 1 | 65 | 4 | 03 |
| ბ) ბამბის ძირითადი ან საუჯრედო ძაფით . . . . . | 2 | 65 | 6 | 47 |
| გ) წმინდა აბრეშუმისა . . . . . | 4 | — | 9 | 76 |
| 3) მაუდის მაგვარი ქსოვილი და ბაიკა, ნართავი აბრეშუმის ნაძენძისაგან (შაპპა ან ბურდესუა) მატყლისა, ბუმბულისა, ბამბისა და სელის ნარევით ან უამისოდ . . . . . | 1 | 65 | 4 | 03 |
| 2. აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის სახალიჩე, დეკოტიული, საავეჯო და სხვა ნაკეთობა, გარდა გობელენისა და ხავერდის ყაითნისა . . . . . | 1 | 30 | 3 | 17 |
| 3. აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის საგობელენო ქსოვილი | 8 | — | 19 | 52 |
| 4. აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის ნაქსოვი (ტრიკოტაჟი) და სატანსაცმელო ნაკეთობა და მატერია, თუნდაც აჟურით ან ნაქარგი: | | | | |

41

| სახელწოდება და ღირსება ქსოვილისა. | აქციზი ჩერვ. ანგარიშით | | | |
|---|---|---|---|---|
| | გირ-ვანქაზე. | | კილო-გრამზე. | |
| | მან. | კ. | მან. | კ. |
| 1) ხელთათმანი, ჩულქები და წინდები . . . . . | 5 | 60 | 13 | 66 |
| 2) ყოველგვარი სხვა ნაკეთობა . . . . . | 3 | 50 | 8 | 54 |
| 5. აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის ნაკეთობანი, როგორიც არის: ზონარი, არშია, აგრამანტი ბოჭკო, ფუნჯი, გარნიტურა და სხვ. . . . . | 2 | 65 | 6 | 47 |
| 6. აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის სალეჩაქე . . . . | 9 | 25 | 22 | 57 |
| 7. ქსოველი (გაზ) საწისქვილე საცრებისათვის . . . . | 2 | 65 | 6 | 47 |
| 8. ბაფთა და საბაფთო ნაკეთობა აბრეშუმისა ან აბრეშუმნარევი . . . . . | 12 | 22 | 29 | 81 |
| 9. ფარჩა და დიბა . . . . . | 1 | 85 | 4 | 51 |
| 10. ლიფი და მუშამბა აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმისა | 2 | — | 4 | 88 |

ზოგადი შენიშვნები ტარიფისა:

1) ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილს დაედება აქციზი იმ საფუძველზე, როგორც ნატურალური აბრეშუმის ქსოვილს.

2. ამა ტარიფის საფუძველზე აქციზი გადახდევინებულ იქნება წონით ნეტტო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 6-ს თარიღის 470 №-ში.

---

# დადგენილება № 116 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის დეკემბრის 30

**8 საუცხოეთო საცხოვრებელი მოწმობის გაცემის წესის შესახებ გამოცემული დადგენილების შეცვლისათვის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უცხოელებისათვის საცხოვრებელი მოწმობის მიცემის წესის შესახებ 1923 წლის მაისის 16-ს თარიღითა და 49 №-ით გამოცემული დადგენილების (კა-

ნონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წ. № 8, მუხ. 107) მე-4 მუხლში ეროვნული პასპორტის წარსადგენათ დაწესებული 6 თვის ვადის შესაცვლელად—სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სამშობლოში მიღებული ეროვნული პასპორტისა ან უცხოეთის ქვეშევრდომობის დამამტკიცებელი სხვა დოკუმენტის წარდგენის ვადა სპარსეთის ქვეშევრდომთათვის განგრძობილ იქნეს 1924 წლის ივლისის 1-დე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამ-
მდებობის დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიევშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის იანვრის 6-ს თარიღის 470 №-ში.

---

# დადგენილება № 5 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის იანვრის 8.

**9. ჩერვონეცის კურსის შესახებ გარიგებათა ანგარიშის გასწორებისათვის.**

ჩერვონეცის კურსის მოწესრიგებისათვის გარიგებათა ანგარიშის გასწორების დროს, აღნიშნული კურსის სრულ უნიფიკაციამდე მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამიერკავკასიის სოც. ფედ საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

ყველა სახელმწიფო, კომუნალური და სამეურნეო დაწესებულება, კოოპერატიული ორგანიზაცია და აგრეთვე კერძო პირი და საზოგადოება, ჩერვონეცზე და ჩერვონეცის ანგარიშზე დამყარებული ყოველგვარი გარიგების ანგარიშის გასწორების დროს, იხელმძღვანელებს:

1. იმ ქალაქში, სადაც არის სავაჭრო-საფონდო ბირჟა,—ბირჟის მიერ წინა დღისათვის დადგენილი ოფიციალური კურსით.

2. ჩერვონეცის კურსი, რასაც ადგილობრივი ბირჟა გამოაცხადებს, სავალდებულოა მთლად შემდეგი დღის განმავლობაში და მორიგი ყოველდღიური კურსის ძალაში შესვლამდე.

3. იმ ქალაქში და სხვა დასახლებულ ადგილას, სადაც სავაჭრო-საფონდო ბირჟა არ არის,—მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისათვის დადგენილი ჩარვონეცის ერთიანი კურსით, რასაც ყოველდღიურად გამოაქვეყნებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

43

4. ყოველგვარი სხვა კურსი, რაც კი ამ ჟამად ხმარებაშია, გაუქმებულ იქნეს და აიკრძალოს მისი შემდეგში გამოყენება.

5. ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და პირი ვალდებულია ყოველდღიურად გამოჰკიდოს ხოლმე თვალსაჩინო ადგილას, იქ, სადაც წარმოებაა, ან სადაც გარიგების ანგარიშის გასწორება ხდება (სალაროსთან და სხვ.),—ჩერვონეცის კურსი, რომელსაც ისინი გამოიყენებენ თანახმად ამა დადგენილების 1 და 3 მიუხლისა.

6. დამნაშავე, რომელიც ამა დადგენილებას არ შეასრულებს, მიიცემა პასუხისგებაში,—იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სადაც უფლების დარღვევა მოხდა,—სვალიუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა
მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 13-ს თარიღის 476 №-ში.

# დადგენილება
# ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის დეკემბრის 17.

## 10. სასინჯი ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ.

+ 14

სასინჯ დაწესებულებათა მოქმედების მოწესრიგებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილებაში შემავალ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომოყვანილი დებულება სასინჯი ზედამხედველობისა საიუველირო მრეწველობისათვის და კეთილშობილ მეტალთა ნაკეთობის ვაჭრობისათვის.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების გამოქვეყნებისთანავე გაუქმებულ იქნეს ამ საგანზე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილებაში შემავალ რესპუბლიკებში წინად გამოცემული ყველა დადგენილება და ინსტრუქცია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თარმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 13-ს თარღის 476 №-ში.

## 11. დებულება სასინჯი ზედამხედველობის შესახებ საიუველირო მრეწველობისათვის და კეთილშობილ მეტალთა ნაკეთობის ვაჭრობისათვის.

### კარი 1.

### ზოგადი დებულებანი.

მუხ. 1. კეთილშობილი მეტალის შეძენა საიუველირო ნაკეთობისა, შენადნობისა და აფინაჟის წარმოებისათვის და აგრეთვე დამზადება და ვაჭრობა ოქროვერცხლის საიუველირო ნაკეთობისა—ნებადართულია ყველგან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მუხ. 2. ოქროს და ვერცხლის ნაკეთობად ჩაითვლება ისეთი ნაკეთობა, რომელშიაც კეთილშობილი მეტალნი (ოქრო, ვერცხლი) შეადგენენ არაკეთილშობილ მეტალებთან—ერთ მთლიან ლიგატურულ შენადნობს.

მუხ. 3. გასაყიდათ განზრახული ოქრო-ვერცხლის ყოველი ნაკეთობა უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ კანონიერ სინჯს (მუხ. 10) და დაღდასმული უნდა იქნეს სასინჯ დაწესეგულებაში.

მუხ. 4. სავალდებულო დადაღვისაგან სასინჯ დაწესებულებაში განთავისუფდება: ა) სიძველენი, რომელთაც ექნება ისტორიული ან არქეოლოგიური მნიშვნელობა; ბ) მცირე ზარნიში (ინკრუსტაცია) ოქროსი და ვერცხლის საჭურველზე, ცხენის მოსართავზე და სხვ. საგნებზე; გ) მათემატიკური და ოპტიური ინსტრუმენტები და დ) მოჭედილობა კბილებისათვის.

მუხ. 5. სახელოსნოში ქონებული კეთილშობილი მეტალი, რაც დანიშნულია შემდგომი დამუშავებისათვის ამავე სახელოსნოში,—შეიძლება დარჩეს უდაღოდ.

### კარი 2.

### სასინჯი ზედამხედველობის ორგანოები.

მუხ. 6. სასინჯი ზედამხედვლობის სამმართველო მოთავსებულია ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.-რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმარათველოში.

მუხ. 7. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში სასინჯი ზედამხედველობა განხორციელდება ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთა მიერ მსინჯავებისა და მათი თანაშემწეების მეშვეობით.

მუხ. 8. სასინჯ დაწესებულებათა მოვალეობას შეადგენს:

ა) გამოცნობა და დადაღვა ოქროს და ვერცხლის ნაკეთობისა;

ბ) გადახდევინება და აღნუსხვა სასინჯი სასყიდლისა და სხვ. შემოვსლისა;

გ) უახლოესი ზედამხედველობა იმ დაწესებულებათათვის, რომელნიც აწარმოებენ აფინაჟს და კეთილშობილი მეტალის გადადნობას და აგრეთვე კეთილშობილი მეტალის ნაკეთობათა დამზადებას, შეკეთებას და გაყიდვას; რევიზია ამ დაწესებულებათა; ჩამორთმევა მათთვის ისეთი ნაკეთობისა, რაც არ შეეფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება ამა დებულებასა და მის საფუძველზე ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციების მოთხოვნებს; აღძვრა და წარმართვა სასამართლო საქმისა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც ზედამხედველობა ბრალს დასდებს ყალბ დადაღვაში და სასინჯი წესების დარღვევაში.

დ) გამოკვლევა ფულისა და მეტალისა, მათი შენადნისა და შენადუღისა.

ე) გაწმენდა და დადნობა ოქროსი და ვერცხლისა ლაბორატორული მასშტაბით.

## ᲙᲐᲠᲘ 3.

### სინჯი და სასინჯი დაღი.

მუხ. 9. შინაგანი ღირსება შენადნობისა, რისგანაც მზადდება გასაყიდად განზრახული ოქროს და ვერცხლის ნაკეთობა,—გამოიხატება იმ სინჯში, რომელიც განსაზღვრავს წმინდა კეთილშობილი მეტალის მისხალთა რიცხვს ლიგატურულ გირვანქაში, ე. ი. შენადნობის ოთხმოცდათექვსმეტ მისხალში.

მუხ. 10. სინჯი შემდეგნაირია: ა) ოქროს ნაკეთობისათვის—ორმოცდათექვსმეტი, სამოცდა თორმეტი, ოთხმოცდაორი, ოთხმოცდათორმეტი, ოთხმოცდათოთხმეტი; ბ) ვერცხლის ნაკეთობისათვის—სამოცდათექვსმეტი, ოთხმოცდაოთხი ოთხმოცდარვა, ოთხმოცდათერთმეტი, ოთმოცდახუთმეტი; გ) საოქრომჭედლო წარმოების ნაკეთობისათვის—ოთხმოცდაშვიდიდან ოთხმოცდათექვსმეტამდე და, ეგრედ წოდებული, მწვანე ოქროსათვის—სამოცდათორმეტი.

## ᲙᲐᲠᲘ 4.

### ბრძოლის ღონისძიებანი ყალბი დადაღვისა და სასინჯი წესების დარღვევის წინააღმდეგ.

მუხ. 11. ნაკეთობა, რაც დაჭერილ იქნება სასინჯი ზედამხედველობის მიერ სახელოსნოებისა, მაღაზიებისა და ბაზრების დათვალიერების დროს, გადადის სათანადო სასინჯ დაწესებულებაში და მისი გარეგნულად დაწვრილებით დათვალიერების შემდეგ, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, მეტალის გასინჯვის შემდეგ, ჩამორთმეულ იქნება კონფისკაციის წესით: ა) უკეთუ ნაკეთობას აღმოაჩნდება ყალბი სასინჯი დაღი; ბ) უკეთუ დაღ-დასმული ნაკეთობის ცალკე ნაწილები არ შეეფერება დაღით აღნიშნულ სინჯს; გ) უკეთუ გასაყიდათ განზრახული ნაკეთობა დაუდაღავია. ყალბი დადაღვისათვის და სასინჯი წესების დარღვევისათვის დამნაშავე მიიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

## ᲙᲐᲠᲘ 5.

### სასინჯი ზედამხედველობა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში უცხოეთიდან შემოტანილი ოქროს და ვერცხლის ნაკეთობისათვის.

მუხ. 12. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში უცხოეთიდან შემოტანილი ოქროს და ვერცხლის ნაკეთობა საბაჟო დათვალიერე-

ბისას—სასინჯად და დასადალავად წარიგზავნება უახლოეს სასინჯ დაწესებულებაში იმ სახით, როგორც იგი მიღებული იქნა უცხოეთიდან და აგრეთვე ნაკეთობის რიცხვისა, წონისა და მეტალის თვისების აღნიშვნით (მიმღების განცხადებისამებრ).

**შენიშვნა.** უცხოეთიდან შემოტანილი ოქროს და ვერცხლის ნაკეთობა იმ რაოდენობით, რაც შემოსატანად ნებადართულია მისი შემომტანის პირადი მოხმარებისათვის,—სასინჯ დაწესებულებას არ წარედგინება.

მუხ. 13. ამ ნაკეთობისათვის სასინჯი სასყიდლისა, გამოცნობისა და დადალვის საქმეში შეფარდებულ უნდა იქნეს შინა-წარმოების ნაკეთობათათვის არსებული წესები.

მუხ. 14. ნაკეთობა, რომელიც არ აკმაყოფილებს უმდაბლეს უკიდურეს სინჯს, დაებრუნება საბაჟოს, ისე, რომ მას არ დაესმება დალი უცხოეთში უკანვე გასაგზავნად.

მუხ. 15. უკეთუ უცხოეთის საქონელში, რომელიც შესდგება დიდი რიცხვის ერთგვარი წვრილ-წვრილი ოქროს და ვერცხლის ნივთებისაგან, სასინჯად წარდგენილი ნივთი ვერ დააკმაყოფილებს სასინჯი წესების მოთხოვნას,—მთელი პარტია ჩაითვლება არა დამაკმაყოფილებლად და დაებრუნება საბაჟოს უცხოეთში უკანვე გასაგზავნად.

მუხ. 16. მე-14 და 15 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასინჯი სასყიდელი გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

მუხ. 17. უცხოეთის ნაკეთობა, რაც კანონიერ სინჯს აკმაყოფილებს,—გამოცნობისა, დადალვისა და ადრესატის ან მისი რწმუნებული პირის მიერ სასინჯი სასყიდლის სასინჯი დაწესებულების სალაროში შეტანის შემდეგ,—დაებრუნება საბაჟოს, რათა გასცეს იგი კუთვნილებისამებრ.

მუხ. 18. რათა გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა ყალბი დადალვისა და სასინჯი წესების დარღვევის წინააღმდეგ,—კონფისკაციაქმნილი ნაკეთობის ღირებულების 15 პროც. (ხუთმეტი პროცენტი) გადარიცხულ იქნება და განაწილდება იმ პირთა შორის, ვინც უშუალოდ აღმოაჩენს დარღვევას და ვინც ხელს შეუწყობს ამ დარღვევის აღმოჩენას.

მუხ. 19. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე სათანადო ინსტრუქციები ამა დებულების შეფარდებისათვის

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 13-ს თარიღის 476 №-ში.

# დადგენილება № 6 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის იანვრის 8.

**12. საკონტროლო ღონისძიებათა შესახებ იმ დადგენილებათა განხორციელებისათვის, რაც შინა-ვაჭრობის კომისიის მიერ გამოცემულია მასსიური მოხმარების საგნების ფასის შემცირების თაობაზე.**

+ 45

რათა განხორციელებულ იქნეს კონტროლი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისიისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა შინა-ვაჭრობის კომისიების მიერ მასსიური მოხმარების საგნების ფასის შემცირების შესახებ გამოცემულ დადგენილებათა აღსრულებისათვის,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, რუსეთის ტრესტებისა და სინდიკატების ადგილობრივ წარმომადგენლობათ და აგრეთვე ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციას, იქ, სადაც სავაჭრო ოპერაციები სწარმოებს (კონტორა, საწყობი, მაღაზია, დუქანი) გამოჰკიდონ ხოლმე თვალსაჩინო ადგილას, მყიდველთა ცნობისათვის, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპიბლიკის შინა ვაჭრობის კომისიისა და ცალკე რესპუბლიკათა შინა-ვაჭრობის კომისიების მიერ. დაწესებული მასსიური მოხმარების საგანთა ფასები. ყველა, ვინც ზემოაღნიშნულ მოვალეობას არ შეასრულებს, მიიცემა პასუხისგებაში შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სადაც დარღვევა მოხდება.

2. წინადადება მიეცეს ყველა რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს მიიღოს საჭირო ღონისძიება, რათა ქალაქისა და, განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობას ეცნობოს მასსიური მოხმარების საგანთა ფასების შემცირება და, კერძოდ, ყველა აღმასრულებელ კომიტეტში (მაზრისა, ქალაქისა, რაიონისა, თემისა და სოფლისა) გამოკიდულ იქნეს მოქალაქეთა ცნობისათვის შინა-ვაჭრობის კომისიათა დადგენილებანი ფასების შემცირების შესახებ და ამასთანავე განსაკუთრებით აღინიშნოს, რა ფასით უნდა გაიყიდოს საქონელი ამა თუ იმ ადგილის სახელმწიფო ორგანოს და კოოპერატიული ორგანიზაციის დუქანში.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა
მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“-ს 1924 წლის იანვრის 15 -ს თარიღის 477 № ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 13. დებულება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

1924 წლის იანვრის 14.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი

### დებულება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპულიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი არის საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ორგანო სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა, ამ აპარატის სრული და უფლებისა და სოციალისტური აღმშენებლობის მიზნებისათვის შეგუებისათვის.

ამისდამიხედვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაეკისრება:

### ა. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიზნები.

1) პრაქტიკული და თეორეტიული შესწავლა მმართველობის საქმისა; გამორკვევა მმართველობის მომქედ ორგანოთა ნაკლისა და ღირსებისა; თავიდან აცილება პირველისა და განმტკიცება უკანასკნელისა; მოწყობა სხვა და სხვა ცდისა და განხორციელება პრაქტკულ ღონისძიებათა მმართველობისა, საქმისწარმოებისა და ანგარიშგების ტეხნიკის რაციონალიზაციისათვის; შემუშავება ანგარიშწარმოებისა, კალკულიაციისა და ბალანსების შედგენის უფრო სრულყოფილი ფორმებისა; შემუშავება გეგმებისა სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურის შეცვლისათვის, როგორც მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ისე ნორმალური პირობების შექმნისათვის, რაც გააადვილებს მეთვალყურეობას სახელმწიფოს მიერ.

2) ყოველგზით იძულება სახელმწიფო, ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანოებისა მათი აპარატების გაუმჯობესებისათვის, დახმარების აღმოჩენა მათთვის ამ საქმეში, აღნუსხვა მათი გამოცდილებისა, შეთანხმება და გაერთიანება მათ მიერ ხმარებულ ღონისძიებათა.

3) საერთო ხელმძღვანელობა და გაერთიანება ყველა დაწესებულების მოქმედებისა, რომელიც თავისი—ხოლო მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებული, და ცალკე დებულების საფუძველზე მომქმედი—წარმომადგენლობითი ორგანოს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვეობით ეწევა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მმართველობის ტეხნიკისა და წარმოების შესწავლას; ორგანიზაცია, ცალკე შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საცდელი სადგურებისა, საჩვენებელი დაწესებულებებისა და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დახმარების უჯრედებისა.

**შენიშვნა.** სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დახმარების უჯრედები არსებობენ ცალკე დებულების საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

4) დაწვრილებითი შესწავლა საკვარტალო და წლიური საორიენტაციო ბიუჯეტისა (სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტისა) და აღნუსხვა მისი შესრულების გამოცდილებისა, მისი ფინანსიური რეალობის და სამეურნეო მიზანშეწონილობის თვალსაზრისით; დასკვნის მიცემა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხის შესრულების გამო ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი ანგარიშების შესახებ; გამოკვლევა და შესწავლა წარმოებითი გეგმებისა და მათი შესრულებისა სამეურნეო ორგანოების მიერ და აგრეთვე ადმინისტრატიულ და კულტურულ-განმანათლებელ ორგანოების საგეგმო დავალებათა შესრულებისა; შემოწმება ყველა სახელმწიფო ორგანოს მოქმედებისა ნამდვილად მიღწეული შედეგების თვალსაზრისით და ამ ორგანოებისათვის სისტემატიური ინსპექტორობის გაწევა გამოკვლეული მასალისა და სამეცნიერო ცნობების საფუძველზე.

5) შეფასება და შემოწმება არსებითად ადამინისტრატიული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა მუშაობისა; დახმარების აღმოჩენა მათთვის პირადი შედგენილობის შერჩევაში; ხმარება საჭირო ღონისძიებათა, რათა მუშები და გლეხები პრაქტიკულად იქნენ მომზადებულნი პასუხსაგებ ხელმძღვანელ თანამდებობათათვის და რათა დახმარება აღმოეჩინოს საქმისადმი უმეტესად ერთგულ მომუშავეთ.

6) გამოკვლევა და შესწავლა სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა დანაშაულის მიზეზებისა და უყაირათობისა, ბრძოლა მოსყიდვის სისტემისა და მექრთამეობის წინააღმდეგ იმგვარივე დირექტივების დაწესებით, რაც აქვთ სათანადო სასამართლო და ადმინისტრატიულ ორგანოებს.

7) განსაკუთრებული გაუმჯობესება სახელმწიფო აპარატისა და სამეურნეო ორგანოებისა მოსახლეობასთან მათი უშუალო კავშირის სფეროში; სისტემატიური და გეგმაშეწონილი გამოყენება საბჭოთა, პარტიული და პროფესიონალური ბეჭდვითი სიტყვისა, რათა დაუნდობელი ბრძოლა გაეწიოს სახელმწიფო ორგანოთა იმ თანამშრომელთ, რომელნიც უყურადღებოთ მოეპყრობიან მუშათა და გლეხთა (განსაკუთრებით წერა-კითხვის უცოდინარ და მის ნაკლებად მცოდნეთა) საჭიროებას და მოთხოვნილებას და აგრეთვე სხვა და სხვა ეროვნებათა მშრომელ მოსახლეობას; ბრძოლა ყოველგვარი თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულის წინააღმდეგ, დაუდევრობისა, მექრთამეობისა, ბიუროკრატიზმისა და სხვ. წინააღმდეგ.

[illegible]

8) შესწავლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგებისა და ხელმძღვანელობის გაწევა ამ სფეროში მომუშავეთათვის. შემოღება მუშაობის მეთოდებისა ბუხჰალტერიისათვის, კალკულიაციისა და ბალანსის შედგენისა და შემოწმებისათვის და თანაბარი საანგარიშო ერთეულების შემოღებისათვის; მოწყობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან სპეციალურ სახელმწიფო ბუხჰალტერ-ექსპერტთა კადრისა.

9) შესრულება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების ცალკე სპეციალური დავალებისა და მინდობილობისა და აგრეთვე კონტროლი და მეთვალყურეობა აღნიშნული ორგანოების იმ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა სწორი განხორციელებისათვის, რომლის მიზანიც, პირველ რიგში, იქნება სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება.

10) ფართოდ დაყენება გამომცემლობითი—საინფორმაციო საქმისა, რაც გააშუქებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა, წარმოებისა და მმართველობის საკითხებს და აგრეთვე რევიზია-ინსპექტორობის მინაღწევს.

## ბ. მუშათა გლეხთა ინსპექციის უფლებანი.

აღნიშნულ მიზანთა განხორციელებისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციას ეძლევა შემდეგი უფლება:

11) სრული და ნაწილობრივი სარევიზიო-საინფექციო გამოკვლევა,—როგორც დამოუკიდებლად. ისე რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების მეშვეობით,—ყველა ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა და საწარმოსი, მათი შენაერთისა, სხვათა შორის, კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანოებისაც, აგრეთვე სააქციო კომპანიებისა, შერეულ საზოგადოებათა, საკონცესიო საწარმოთა და ყველა სხვა საზოგადოებრივი ორგმნიზაციისა, რომელსაც სუბსიდიას აძლევს სახელმწიფო ან რომელიც მოქმედებს სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით ან და საზოგადოებრივი გამოსაღებით და შემოსავლით.

**შენიშვნა**. იმ სახელმწიფო საწარმოთა მდგომარეობის გამოკვლევას, რომელიც იჯარით აქვს აღებული კერძო პირს ან ორგანიზაციას, აგრეთვე იმ საწარმოოსას, რომელიც კერძო პირის მფლობელობაშია ან გაცემულია კონცესიით,—მუშათა და გლეხთა ინსპექცია მოახდენს ამ საწარმოთა და სახელმწიფოს შორის არსებულ ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში.

12) მოთხოვნა სახელმწიფო დაწესებულებათა და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათაგან მასალისა, დოკუმენტებისა, აქტებისა, ახსნა-განმარტებისა, ანგარიშისა და სხვა ცნობებისა, რაც დაახასიათებს დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოქმედების ვითარებას, აგრეთვე გამოწვევა გამოსაკვლევი ორგანოების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისა, როგორც პირადი ახსნა-განმანმარტების წარსადგენად, ისე ერთად თათბირსა და სხდომებისათვის და აგრეთვე ქვე-კომისიაში გამოწვევა იმ საკითხების განსახილველად, რაც აღიძვრება აღნიშნულ გამოკვლევათა პროცესში.

13) წინადადების მიცემა ყველა რევიზიამქნილი სახელმწიფო დაწესებულებისა, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის: ა) აღმოჩენილი ნაკლის თავიდან აცდენის შესახებ; სათანადო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ მათი აპარატის რაციონალიზაციისათვის; გ) თანამდებობის პირთა დათხოვნის შესახებ სერიოზული დაუდევრობისა და უყაირათობისათვის; დ) დისციპლინარული გადასახდელის დადების შესახებ იმ წესით და იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია კანონით.

**შენიშვნა.** უკეთუ მე მე-11 მუხლში აღნიშნული დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელი არ დაეთანხმება მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადებას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამ კომისარიატს თავისი მისაგებელი.

14) წარდგენა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განსახილველად სარევიზიო გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულ კონკრეტულ წინადადებათა: მმართველობის აპარატის გამარტივების შესახებ; თავიდან აცდენა პარალელიზმისა და უყაირათობისა; ცალკე კომისარიატებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების მოქმედების შეთანხმების ფორმათა შესახებ და აგრეთვე საქმის წარმოების მთელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ ამა თუ იმ დაწესებულებაში ან ცალკე ნაწილში.

15) ორგანიზაცია და დამტკიცება დებულებებისა საუწყებო აპარატის რაციონალიზაციის ორგანოთა შესახებ (საგეგმო და საორგანიზაციო ბიუროები, საცდელი სადგურები, დახმარების უჯრედები სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის); დამტკიცება ამ ორგანოთა მუდმივი საჯარო ანგარიშგების ფორმებისა დაწესებულების მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე ამ ორგანოების ხელმძღვანელთა შედგენილობის გადაყენება.

16) დახურვა და სრული ლიკვიდაცია, როგორც სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის საუწყებო ორგანოებისა, ისე შრომისა და მმართველობის ცალკე სამეცნიერო-გამომკვლევი ინსტიტუტებისა, აგრეთვე საკანტროლო და საინსპექციო ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, როდესაც მათი მუშაობა ან შედგენილობა დამაკმაყოფილებელი არ იქნება.

17) მოწვევა თათბირებისა, კონფერენციებისა და ყრილობათა შრომის მეცნიერული ორგანიზაზიისა და მმართველობის წარმოების ტეხნიკის საკითხების განსახილველად, აგრეთვე მეურნეობის წარმოებისა და მმართველობის მეოდების აღნუსხვისა, ანგარიშგებისა და სხვა წესის დასამყარებლად. შემუშავება გეგმისა და პროგრამისა და განათლების ორგაენოებთან და პროფესიონალურ კავშირებთან ერთად სხვადასხვა კვალიფიკაციის მომუშავეთა მომზადება და ხელახლად მომზადება შრომის მეცნიერული ორგანისაციისა, წარმოებისა და მმართველობის ტეხნიკის სფეროში.

18) უფლება სათათბირო ხმით მონაწილეობისა კომისიაში და თათბირში, რასაც მოაწყობენ უმაღლესი ორგანოები ცენტრში და ადგილობრივ, სახალხო კომისარიატების კოლეგიათა აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათი პრეზიდუმების სხდომებში, ყოველგვარ სხვა საუწყებო და საუწყებათაშორისო თათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბირში და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და მათ შენაერთთა და საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ყოველგვარ ყრილობაში, კონფერენციაში, თათბირში, განმკარგულებელ სხდომაში და სხვ.

19. შეჩერება იმ დაწესებულებათა და თანამდებობის პირთააშკარა უკანონო განკარგულებისა და მოქმედებისა, რომლის რევიზიაც ხდება.

**შენიშვნა.** 1. უფლება ამა თუ იმ განკარგულების და მოქმედების შეჩერებისა ეკუთვნის მუშათა და გლეხთა ისპექციის სახალხო კომისარს, ან მუშათა და გლეხთა ინსპექციის საამისოდ რწმუნებამოსილ პასუხისმგებელ თანამშრომელს.

**შენიშვნა.** 2. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მიერ დაწესებულებათა მოქმედების და განკარგულების შეჩერება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციის უმაღლესი ინსტანციისაგან. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ დადასტურებული შეჩერება დაწესებულებათა მოქმედებისა და განკარგულებისა შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

**შენიშვნა.** 3. აღნიშნული უფლება მუშათი და გლეხთი ინსპექციისა არ გავრცელდება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებაზე და აგრეთვე სასამართლოს ორგანოების განაჩენზე და გადაწყვეტილებაზე და საგამომძიებლო ხელისუფლებისა და პროკურატურის განკარგულებაზე—მათი გამგებლობის ფარგლებში.

20. აღძვრა დევნისა ამა თუ იმ პირის წინააღმდეგ ადმინისტრატიული და სასამართლოს წესით, დანაშაულისა და მცირე დანაშაულის გამო, რაც აღმოჩნდება მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის პროცესში და ამასთანავე წინადადების მიცემა სასამართლოს საგამომძიებლო და მაძიებელი ორგანოებისათვის და პროკურატურისათვის საჭირო მოქმედების შესრულების შესახებ, რათა მოხდეს აღნიშნულ დანაშაულთა შემდგომი გამოაშკარავება.

21. წინადადების მიცემა დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციებისათვის, რათა მათ წარადგინონ სამოქალაქო სარჩელი სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო და აგრეთვე წარდგენა ასეთი სარჩელისა დამოუკიდებლად.

22. უფლება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარისა ან კოლეგიისა—გამოაცხადოს პრესაში სია იმ თანამდებობის პირთა, რომელნიც რევიზიის პროცესში მხილებულ იქნენ დანაშაულში, მცირე დანაშაულში, უყაირათობაში, დაუდევრობაში და მშრომელთა ინტერესებისადმი უყურადღებოდ მოპყრობაში,—როდესაც იმ გარემოებათა არსებობას, რაც აღნიშნულ პირს ბრალდება, არ უარყოფს უწყების ან დაწესებულების ხელმძღვანელი.

23. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი, როგორც ხელმძღვანელი ორგანო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა,—შეათანხმებს და წარმართავს რესპუბლიკანური მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების მოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

24. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი შესდგება ოთხი განყოფილებისაგან:

ა) ოპერატიული;

ბ) სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა;

გ) საერთო და

დ) საჩივართა და განცხადებათა ცენტრალური ბიურო.

25. განყოფილებანი შესდგებიაან შემდეგი ინსპექციებისა, სექციებისა და ნაწილებისაგან:

ა) ოპერატიული განყოფილება შესდგება ხუთი ინსპექციისაგან:

ა) ეკონომიური;

ბ) საფინანსო;

გ) ადმინისტრატიული;

დ) სამხედრო;

ე) შრომისა და

ვ) საიურისკონსულტო ნაწილი;

ბ) სახელმწიფო აპარატების გაუმჯობესების განყოფილება შესდგება ხუთი სექციისაგან:

ა) შრომისა და წარმოებისა;

ბ) სამმართველობო ტეხნიკისა;

გ) ბუხჰალტერია და ანგარიშგება;

დ) საშტატო-სასტრუქტურო და

ე) საინფორმაციო-საგამომცემლო.

გ) საერთო განყოფილება შესდგება სამი ნაწილისაგან:

ა) საერთო კანცელარია;

ბ) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ნაწილი;

გ) საფინანსო-სამეურნეო ნაწილი.

## დ. მუშათა და ბლეხთა ინსპექციის ცენტრალური ორგანოების გამგებლობის საგანი.

26) ოპერატიულ განყოფილებას დაეკისრება—ხელმძღვანელობა გაუწიოს მის შედგენილობაში შემავალ ინსპექციათა მთელ საინსპექციო-სარევიზიო მუშაობას. ცენტრალური ინსპექციები თავიანთ სარევიზიო-საინსპექციო მუშაობას ანხორციელებენ თავისი ფუნქციონალური დანაწილების მიხედვით და თავიანთი მოქმედების მთავარ ობიექტად აქვთ სამუშაო სათანადო სახალხო კომისარიატებისა. სისწორით განაწილებას ცალკე ცენტრალურ ინსპექციათა კომპეტენციისას განსაზღვრავს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

27) სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების განყოფილებას დაეკისრება:

ა) შრომისა და წარმოების სექციის დარგში: ა) შემუშავება შრომის პროცესების რაციონალური მეთოდებისა, ბ) შემუშავება საკითხებისა, რაც დაკავშირებულია წარმოების ტეხნიკის რაციონალიზაციასთან, სტანდარტიზაციასთან და შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან, გ) დაწესება ნამუშევარის ნორმებისა და შემუშავება შრომის დაცვის საკითხებისა.

ბ) სამმართველობო ტეხნიკის სექციის დარგში: ა) გამორკვევა მუშაობის რაციონალური მეთოდებისა სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა საადმინისტრაციოირობის გამწევი აპარატებისათვის, ბ) და წესება სახელმწიფო აპარატის სტრუქტურისა, შტატებისა, საქმისწარმოებისა და სხვ. და შემუშავება რაციონალური მეთოდებისა ადმინისტრატიული მუშაობის სფეროში.

გ) ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების სექციის დარგში: შემუშავება და დამყარება საბჭოთა დაწესებულებებში ანგარიშწარმოებისა, ანგარიშგებისა, კალკულიაციისა, ბალანსებისა და სხვ. უმეტესად სრულყოფილი ფორმებისა.

დ) საშტატო-სასტრუქტურო სექციის დარგში: დაწესება სახელმწიფო აპარატის სტრუქტურისა და შტატებისა დაწესებულებათა ფუნქციებისა და შრომის რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით.

ე) საინფორმაციო საგამომცემლო სექციის დარგში: ა) რედაქცია, გამოცემა და გავრცელება პერიოდიული ორგანოებისა და აგრეთვე ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოებისა: წიგნებისა, ჟურნალებისა, ბროშიურებისა, ფურცლებისა, პლაკატებისა და სხვ. ბ) ინფორმაციის მიწოდება პერიოდიული ბეჭდვითი ორგანოებისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მოქმედების შესახებ და გამგებლობა სახალხო კომისარიატის ბიბლიოთეკისა.

28) საერთო განყოფილებას დაეკისრება:

ა) საერთო კანცელარიის დარგში: ა) გაძღოლა მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის საქმისწარმოებისა, ბ) დამზადება მასალისა იმ საქმეებისათვის, რასაც სახალხო კომისარიატი წაუდგენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებს, გ) შესრულება სპეციალურ მინდობილობათა და დავალებათა (რაც ამა დებულებით გათვალისწინებული არ არის) და დ) მიწერ-მოწერა, საერთო რეგისტრატურა, ექსპედიცია და საერთო არქივის გამგებლობა.

ბ) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ნაწილის დარგში: ა) თვალყურის დევნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა ორგანოს მიერ სახალხო კომისარიატის განკარგულებათა და დავალებათა აღსრულებისათვის, შეკრეფა და შემუშავება მასალისა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების სტრუქტურისა და მუშაობის ფორმისა და მეთოდის საკითხების შესახებ; ბ) შედგენა საერთო ანგარიშებისა და სტატისტიკური ცნობებისა მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებათათვის; გ) განსაზღვრა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შტატებისა და აღნუსხვა მისი პირადი შედგენილობისა.

გ) საფინანსო-სამეურნეო ნაწილის დარგში: ა) შედგენა აღრიცხვებისა, ფინანსიურად ხელშეწყობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალურ და ადგილო-

ბრივ დაწესებულებათათვის, ბ) კონტროლი ფულად და მატერიალურ საშუალებათა სწორი დახარჯისათვის, გ) სამსახურის გაწევა სახალხო კომისარიატების ცენტრალურ დაწესებულებათათვის სამეურნეო და ტეხნიკური მხრით.

29) საჩივართა და განცხადებათა ბიუროს დაეკისრება: ა) მიღება საჩივრისა და განცხადებისა, რომელშიაც აღნიშნულ იქნება სახელმწიფო აპარატის ნაკლი, უყურადღებოთ მოპყრობა მშრომელთა საჭიროებისადმი, აგრეთვე, ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურებით წარმოება და სხვ., ბ) მოხდენა გამოძიებისა ამ საკითხებში და მათი გადაწყვეტა თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ცალკე დებულებისა საჩივართა ბიუროს და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. იანვრის 17 თარიღის 479 №-ში.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის იანვრის 14.

## 14. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის განაკვეთის ჩერვონეცით გამოანგარიშების შესახებ.

სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების (კანონთა და განკარგულებათა კრებული № 7, მუხ. 73) მე-6 მუხლის მე-2 ნომრის დანართში, ჩამოთვლილი სავაჭრო საწარმოთა კატეგორიების განაწილების შესაცვლელად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. დაწესებულ იქნეს ჩერვონეცის ანგარიშით საციფრო ნიშნები იმ სავაჭრო საწარმოთა დაბეგვრის კატეგორიების განსაზღვრისათვის, რომელნიც ჩამოთვლილ არიან II, III, IV და V კატეგორიის 2-მე და მე-3 პუნქტში; IV და V კატეგორიის ლიტ. „ა"-ს 1-ლ პუნქტში; III კატეგორიის მე-14 პუნქტში; IV კატეგორიის მე-15 პუნქტში; V კატეგორიის მე-11 პუნქტში და განაწილების 1-ლ შენიშვნაში, სახელდობრ:

ა) II კატეგორის მე-2 პუნქტი-არა უმეტეს 100 ჩერვ. მან. თვიურად.
III „ „ 100 ჩერვ. მან. მეტი 500 ჩერვ. მან. თვიურად.
IV „ „ 500 „ „ „ 1000 „ „ „
V „ „ 1000 „ „ „ „ „ „
ბ) II კატეგორიის მე-3 პუნქტი—50 ჩერვ. მან. მეტი 500 ჩ. მ. თვიურად
III „ „ „ 500 „ „ „ 1500 „ „ „
IV „ „ „ 1500 „ „ „ 5000 „ „ „
V „ „ „ 5000 „ „ „ „ „
გ) IV კატეგორიის 1-ა პუნქტი—არა ნაკ. 20-სა და არა უმ. 75 ჩ. მ. თვიურად
V „ „ „ 75 ჩერვ. მან. მეტი ბვიურად
დ) III კატეგორიის მე-14 პუნქტი—არა უმეტეს 2500 ჩერვ. მან. თვიურად
IV „ მე-15 „ 2500 ჩერვ. მან. მეტი 5000 მ. თვიურად
V „ მე-11 „ 5000 „ „ „ „

ე) 1-ლი შენიშვნა—უკიდურესი თვიური ბრუნვა მე-II კატეგორიით დაბეგვრისათვის განისაზღვროს 150 ჩერვ. მან.

II. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების მე-9 მუხლის მე-8 დანართი შეიცვალოს შემდეგნაირად:

# გ ა ნ ა კ ვ ე თ ი

## დამატებითი სარეწავი გადასახადისა (საპროცენტო გამოსაღებისა)

| ნომერი რიგზე. | მოგების რაოდენობა ნახევარ წელიწადში ჩერვონეცის მანათით. | გადასახადის განაკვეთი მოგების %%-ად. |
|---|---|---|
| 1. | 50 ჩერვ. მანათამდე | 3% |
| 2. | 50 ჩერვ. მან. მეტი 100 „ „ | 5% |
| 3. | 100 „ „ „ 200 „ „ | 8% |
| 4. | 200 „ „ „ 400 „ „ | 10% |
| 5. | 400 „ „ „ 600 „ „ | 12% |
| 6. | 600 „ „ „ 1000 „ „ | 15% |
| 7. | 1000 „ „ „ 1500 „ „ | 18% |
| 8. | 1500 „ „ „ 2000 „ „ | 20% |
| 9. | 2000 „ „ „ 2500 „ „ | 22% |
| 10. | 2500 „ „ „ | 25% |

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის იანვრის 17-ს თარიღის 479 № ში.

+36

# დადგენილება № 117 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა სოვეტისა.

1924 წლის იანვრის 17.

## 15. საუცხოეთო ვიზისა და პასპორტის მიცემის შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საუცხოეთო ვიზისა და პასპორტის მიცემის შესახებ 1923 წლის იანვრის 29-ს გამოცემული დეკრეტის (კანონთა და განკარგულებათა კრებული № 1, მუხ. 4) შესაცვლელად და დასამატებლად—სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მუხ. 1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მოქალაქეთათვის უცხოეთში წასასვლელი პასპორტების მიცემას, აღნიშნულ პასპორტებზე ვიზის დასმას და აგრეთვე უცხოელთათვის საზღვარგარეთ წასასვლელი ნებართვის მიცემას—ეროვნულ პასპორტებზე ვიზის დასმით—აწარმოებენ აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები.

მუხ 2. სასამსახურო პასპორტისა და დიპლომატიური პასპორტის მიცემა, ამ პასპორტებზე ვიზის დასმა და აგრეთვე ვიზის დასმა უცხოეთის დიპლომატიურ პასპორტებზე და უცხოეთის მისიისა და დელეგაციის წევრთა და თანამშრომელთა პასპორტებზე—დაეკისრება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში და მის ადგილობრივ აგენტებს.

მუხ. 3. ვიზისა და პასპორტის მიცემისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს გამოსაღები, თანახმად ამასთანავე დართული ტარიფისა.

მუხ. 4. გარდა იმ სახელმწიფო გამოსაღებისა, რაც აღნიშნულია ამასთანავე დართულ ტარიფში, გადახდევინებულ უნდა იქნეს, სომხეთისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელი ნახევარ-მთვარის სასარგებლოდ, ტარიფით განსაზღვრული თანხის 10%, თანახმად ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აპრილის 7-ს თარიღითა და 32 №-ით გამოცემული დადგენილებისა (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა № 6, მუხ. 64).

მუხ. 5. წინა მუხლებში დაწესებული გამოსაღები შეტანილ უნდა იქნეს საფინანსო განყოფილების სალაროში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგადასახდო განცხადების მიხედვით. გამოსაღების გასტუმრების ქვითარი ჩაიკერება პასპორტის მიცემის საქმეში.

მუხ. 6. დადგენილება ესე ძალაში შედის 1924 წლის იანვრის 21-დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 7. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს დაევალება ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია მისი შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდ. დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის იანვრის 19-ს თარიღის 481 №-ში.

## დანართი.

### ტარიფი სახელმწიფო გამოსაღებისა, რასაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები გადაახდევინებენ უცხოეთში წასასვლელი ნებართვის მიცემისათვის.

1. გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს ჩერვონეცის მანათებით ან ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით გადახდევინების დღის კურსისამებრ, შემდეგი რაოდენობით:

ა) საუცხოეთო პასპორტისათვის ვიზასთან ერთად, რომელიც გაიცემა ერთის წლით—33 მან.

ბ) მისი განგრძობისათვის ნახევარი წლით—16,5 მან.

გ) ვიზის დასმისათვის წინად გაცემულ პასპორტზე, უკეთუ საჭირო არ იქნება პასპორტის ვადის განგრძობა—2 მან. 50 კოპ. საბჭოთა მოქალაქისათვის და 8 მან. და 25 კოპ. უცხოელისათვის.

დ) ვიზის დასმისათვის უცხოელის ეროვნულ პასპორტზე თვითეული, 16 წლის ჰასაკამდე მიღწეული, პირისათვის—8 მან. და 25 კაპ.

ე) ვიზის ვადის განახლებისათვის თვითეულ, 16 წლის ჰასაკამდე მიღწეულ, პირზე—2 მან. და 50 კაპ. საბჭოთა მოქალაქისათვის და 8 მან. და 25 კაპ. უცხოელისათვის.

ვ) უკან დასაბრუნებელი ვიზის მიცემისათვის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე შემოსავლელად—თვითეულ, 16 წლის ჰასაკამდე მიღწეულ, პირზე—2 მან. და 20 კაპ. საბჭოთა მოქალაქისათვის და 8 მან. და 25 კაპ. უცხოელისათვის.

ზ) ყოველგვარი ცვლილებისათვის, რაც შეიძლება მოხდეს პასპორტში თანახმად პასპორტის მიმღები პირის განცხადებისა—2 მან. და 50 კაპ. საბჭოთა მოქალაქისათვის და 8 მან. 25 კაპ. უცხოელისათვის.

თ) უცხოეთში წასვლის განცხადების ბლანკისათვის, რაც მიეცემა მოქალაქეს—10 კაპ. ფურცელზე.

# დადგენილება № 118 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის იანვრის 27.

**16. მუშათა და გლეხთა პირველი საფეხურის კოოპერატივებისა და მათ მოსამსახურეთა 6% სესხის ობლიგაციების შეძენისაგან განთავისუფლების შესახებ.**

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის ნოემბრის 1-ს თარიღითა და 101 №-ით გამოცემული დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წ. № 12, მუხ. 235) 1-ლი მუხლის ლიტ. „ა"-ს დაერთოს შემდეგი შენიშვნა: მუხ. 1-ა:

**შენიშვნა.** მუშათა და გლეხთა პირველი საფეხურის კოოპერატივი განთავისუფლდება 6% სესხის ობლიგაციების შეძენისაგან.

II. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის ნოემბრის 1-ს თარიღითა და 102 №-ით გამოცემული დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა № 12, მუხ. 236) 1-ლი მუხლის ლიტ. „გ" დაერთოს შემდეგი შენიშვნა: მუხ. 1-გ:

**შენიშვნა.** მუშათა და გლეხთა პირველი საფეხურის კოოპერატივის მოსამსახურე განთავისუფლდება 6% სესხის ობლიგაციების შეძენისაგან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის იანვრის 30-ს თარიღის 490 №-ში.

---

# დადგენილება № 7 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

**17. დებულება ბაქოს ბაზრობის შესახებ.**

1. ბაქოს ბაზრობა არის საჯარო ვაჭრობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა, რომელიც ამყარებს საბჭოთა ბაზრების სწორ სავაჭრო ურთიერთობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

2. ბაქოს ბაზრობაზე სწარმოებს ვაჭრობა ყველა, სავაჭროდ ნებადართული, საქონლისა; ვაჭრობას აწარმოებს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაცია და პირი, აგრეთვე, თანახმად არსებული წესებისა, უცხოეთის საწარმო, მისი წარმომადგენელი და კერძო უცხოელი ვაჭრები.

3. ბაქოს ბაზრობა გაიხსნება მაისის 20-ს და დაიხურება ივლისისის 5-ს; ამასთანავე გარიგებათა ლიკვიდაციისათვის საბაზრო კომიტეტს უფლება აქვს მისცეს ბაზრობის მონაწილეთ დამატებითი ვადა არა უმეტეს ორი კვირისა.

4. ბაქოს ბაზრობის ხელმძღვანელობა დაეკისრება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისიას.

5. ბაზრობის ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა, ვიდრე ვაჭრობა იწარმოებს, მიენდობა ბაქოს ქალაქის საბჭოს.

6. ბაზრობის უშუალო მართვა-გამგეობის ორგანო არის ბაქოს საბაზრო კომიტეტი.

7. ბაზრობის მოქმედების განმავლობაში მთელი ტერიტორია ახალი საბაჟოსი ყველა ნაგებობით, აგრეთვე საბაჟოს გვერდით მდებარე ვლადიმირსკის მოედანი გადადის საბაზრო კომიტეტის გამგებლობაში.

8. ბაქოს საბაზრო კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა და მისი მოადგილისაგან, რომელთაც, აზერბაიჯანის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წარდგენით, დანიშნავს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო, და ცამეტი წევრისაგან:—ა) წარმომადგენელი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული შინა-ვაჭრობის კომისიისა; აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი; ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატისა; ბაქოს ქალაქის საბჭოსი; აზერბაიჯანის ვაჭრობა-მრეწველობის სახალო კომისარიატისა; ცენტროკავშირისა; აზერბაიჯანის კოოპერაციისა; ბაქოს ბანკებისა, ბირჟისა და ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველოსი; ბ) სამი წარმომადგენელი ბაზრობის მონაწილე კერძო ვაჭრებისა, ამასთანავე ერთი ამათგანი უნდა იყოს სპარსელი ვაჭრების წარმომადგენელი.

9. ბაქოს ბაზრობის კომიტეტის წევრთა უფლებამოსილობა განიგრძობა მათი არჩევის ან დანიშვნის დღიდან ბაზრობის ლიკვიდაციის დღემდე; ხოლო უფლებამოსილობა ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილისა ძალაშია ერთი წლის განმავლობაში დანიშვნის დღიდან.

10. საბაზრო კომიტეტის აღმასრულებელი ორგანო არის პრეზიდიუმი; პრეზიდიუმი შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და სამი წევრისაგან, რომელთაც აირჩევს კომიტეტი მიმდინარე საქმეთა გამგებლობისათვის და აგრეთვე პრეზიდუმის კომპენტენციაში შემავალი სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის.

11. საბაზრო კომიტეტის მოვალეობაა:

ა) იხმაროს ყოველგვარი ღონისძიება ბაზრობის ნაყოფიერი მოქმედებისათვის.

140

ბ) სათანადოთ მოაწყოს ბაზრობის ტერიტორია, ააგოს ბაზრობისათვის საჭირო ნაგებობანი და შენობანი, მუდმივად იზრუნოს ბაზრობის მეურნეობისათვის, განაგოს ბაზრობის ყოველგვარი ქონება, კერძოდ, სავაჭრო სადგომები და მათი ექსპლოატაციის საქმე, გაისტუმროს ბაზრობის შესანახი ხარჯი.

გ) იქონიოს ურთიერთ-მიმართვა ყველა დაწესებულებასთან და პირთან, დასდვას ყოველგვარი გარიგება და ხელშეკრულება, რაც საჭირო იქნება საქმის მსვლელობის მიხედვით, გახსნას ბანკებში სახელდახელო ანგარიშები და, საერთოდ, შეასრულოს ყოველგვარი იურიდიული მოქმედება და გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩლედ და მოპასუხედ.

12. მე-11 მუხლში აღნიშნულ მოვალეობათა განსახორციელებლად საბაზრო კომიტეტი:

ა) წარუდგენს ხოლმე მოხსენებას სათანადო სახელმწიფო ორგანოებს ბაქოს ბაზრობის ვაჭრობის საჭიროების შესახებ.

ბ) მიიღებს ღონისძიებათ, რათა ბაქოს ბაზრობაზე გაგზავნილი ან ბაზრობიდან გამოგზავნილი საქონელი დაუბრკოლებლად და სასწრაფოდ იქნეს მიტანილი დანიშნულ ადგილას.

გ) აღნუსხავს ბაზრობაზე გამოცხადებულ სავაჭრო საწარმოებს და კერძო ვაჭრებს.

დ) მიიღებს ღონისძიებათ ბაზრობის ტერიტორიაზე ბაქოს სასაქონლო-საფონდო ბირჟის განყოფილების გახსნისათვის.

ე) მოაწყობს საარბიტრაჟო კომისიას საბაზრო გარიგებათა გამო აღძრული ყოველგვარი დავის განსახილველად.

ვ) იზრუნებს კრედიტის შესაქმნელად, რაც საჭირო იქნება ვაჭრობის წარმატებისათვის.

ზ) დააარსებს სტატისტიკურ ბიუროს ბაზრობის ვაჭრობის აღსანუსხავად.

თ) გამოსცემს ბიულეტენს ვაჭრობის მსვლელობის მიმოხილვით.

ი) მიიღებს ღონისძიებათ, რათა საბჭოთა რესპუბლიკებს და მეზობელ სახელმწიფოებს, რაც შეიძლება ფართოდ, ეცნობოთ ბაზრობაზე ვაჭრობის დაწყება და მისი პირობები.

კ) წარუდგენს აღრიცხვას ბაქოს საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო ანგარიშს აღრიცხვის გამო წარუდგენს აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

ლ) დაამყარებს წესსა და პირობებს საბაზრო და სავაჭრო სადგომების და მიწების იჯარით გაცემისათვის და განსაზღვრავს საამისო საიჯარო ქირას.

მ) გამოსცემს სავალდებულო დადგენილებებს ბაზრობის სათანადოთ მოწყობის შესახებ.

ნ) გამოსცემს ინსტრუქციებს ბაზრობის საჯარო ვაჭრობის საკითხების შესახებ.

13. ბაზრობის კომიტეტს უფლება ეძლევა ბაზრობის მოწყობისათვის გაწეული ხარჯების დასაფარავად ყოველგვარ ტვირთს, რაც ბაზრობაზე შემოვა, დაადოს გადასახდელი საბაზრო ფასების 0,5%-დე თანახმად ბაზრობის კომიტეტის მიერ შემუშავებული განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

14. ბაზრობის კომიტეტს ჰყავს თავისი წარმომადგენლობა ყველგან, სადაც საჭირო იქნება.

15. ყოველგვარი შემოსავალი, რაც მიღებულ იქნება საბაზრო სადგომებისა და რესტორანების იჯარიდან, საბაზრო გამოსაღებიდან, და აგრეთვე ყოველი სხვა მოსალოდნელი შემოსავალი გადადის ბაზრობის კომიტეტის განკარგულებაში; ეს შემოსავალი მოხმარდება ბაზრობის ტერიტორიაზე ძველი შენობის შეკეთებას, ახლების აგებას და, საერთოდ, ბაზრობის მოწყობის საქმეს.

**შენიშვნა.** მთლად ინვენტარი და აგრეთვე ბაზრობის კომიტეტის თანხების ნაშთი 1923 წ. გადადის ამა დებულების საფუძველზე მომქმედი ბაზრობის კომიტეტის ფონდში.

16. წინად მომქმედი დროებითი დებულება ბაქოს ბაზრობის შესახებ (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წ. № 6, მუხ. 67) დაჰკარგავს თავის ძალას ამა დებულების გამოქვეყნებისათანავე.

17. ბაზრობის კომიტეტს აქვს ბეჭედი წარწერით: „ბაქოს ბაზრობის კომიტეტი“.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის იანვრის 30-ს თარიღის 490 №-ში.

---

# დადგენილება № 119 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის იანვრის 9.

**18. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებსა და საწარმოებზე სოციალური დაზღვევის გადასახადის სატარიფო შეღავათის გავრცელების შესახებ.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სოციალური დაზღვევის სატარიფო განაკვეთის რაოდენობის შესახებ 1923 წ. მაისის 11-ს თარიღითა და 48 № ით გამოცემული დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წ. № 8, მუხ. 106) დასამატებლად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. მაისის 11-ს გამოცემული ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტში გათვალისწინებული სოციალური დაღვევის გადასახადის დროებითი შეღავათიანი ტარიფი გავრცელებულ იქნეს:

ა) ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებაზე (სკოლა, საავადმყოფო, ადმინისტრატიული დაწესებულება და სხვ.).

და ბ) კომუნალურ საწარმოზე, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე არ ითვლება, თანახმად განსაკუთრებული ნუსხისა, რასაც შეიმუშავებს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2) დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1924 წლის იანვრის 1-დან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის იანვრის 31-ს თარიღის 491 №-ში.

---

ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყ. 1-ლი სტამბა. მთავარლიტი № 1519. შეკ. № 566. დაიბ. 500